პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 4. [illegible] 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

[illegible]
[illegible] რუსთაველის პრ. № 4
ტელეფონი №

№ 127 პარასკევი, 5 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 5 აგვისტო, 1921 წ. № 127

5 აგვისტო
პარასკევი

1919. კომინტერნის მიმართვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისადმი რომელშიც [illegible] უნგრეთის [illegible] უნგრეთის პროლეტ. [illegible]

1904. მე II ინტერნაციონალის მე 6 კონგრესი ამსტერდამში.

1895. ფრიდრიხ ენგელსის სიკვდილი.

დღიური:

— [illegible]

— ამხ. კრასინმა პროტესტი მიმართა ინგლისის მთავრობას.

— [illegible]

— ჩიჩერინმა პროტესტი მიმართა პოლონეთს საზავო ხელშეკრულების დაუცველობის გამო.

ცირკულიარი

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა სამაზრო კომიტეტებს და საქალაქო კომიტეტებს.

პატივსაცემულო ამხანაგებო!

ამა აგვისტოს პირველ რიცხვებში ხდება გამოშვება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ პარტიული სკოლის კურსანტების პირველი მოწვევისა, ხოლო აგვისტოს 25-დან უნდა დაიწყოს მეცადინეობა კურსანტებისა მეორე მოწვევამ 300 კაცის რაოდენობით.

სკოლაში თავის დროზე მეცადინეობის დაწყებისათვის საჭიროა რომ ადგილობრივი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავის რაიონში გამონახვას იმ ამხანაგებისა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ ცენტრალურ სკოლის კურსებზე ქვემორე აღნიშნული პირობების სწორი და აუცილებელი შესრულებით:

1. კურსანტები უნდა მოგროვდნენ უმთავრესათ მუშა და გლეხთა წრიდან და უნდა იყვნენ პარტიის წევრები ან კანდიდატები. ნაწილი კურსანტებისა შეიძლება შესდგეს სანდო მუშა და ღარიბ გლეხთაგან, რომელნიც თანაუგრძნობენ ჩვენ პარტიას და მისკენ აქვთ გული.

2. კურსებზე გამოგზავნილი ამხანაგები არ უნდა იყვნენ 30 წელზე უფროსები.

3. აუცილებლათ საჭიროა, რომ მათ ჰქონდეთ წინასწარი მომზადება პირველ დაწყებით სკოლაში მაინც და იცოდნენ თავისუფლათ და კარგათ წერა კითხვა ქართულათ ან რუსულათ.

4. უნდა იყვნენ სრულიად ჯანსაღები რათა თავის სისუსტით და ავათმყოფობით არ ჩამორჩნენ მეცადინეობაში და არ შეაფერხონ სკოლის მუშაობა.

5. იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩაირიცხებიან ჯამაგირიან ადგილებს და გაიგზავნებიან სკოლაში, ჯამაგირები უნდა შეუნახოთ სავსებით და ულუფასთან ერთათ უნდა მიეცეთ მათ [illegible] სრულათ იმ დროის განმავლობაში, ვიდრე კურსებზე იქნებიან.

ამხანაგ გლეხებს, ვინც აწარმოებს საკუთარ მეურნეობას, აქვს ყანა, ვენახი და სხვა, უნდა გაეწიოს დახმარება მიწის დამუშავებით, თესვითა, მკით და სხვა.

6. ამხანაგებმა, ვინც სკოლაში გაიგზავნება, უნდა წაიღონ თან საბანი, ბალიში, საცვალი და ტანსაცმელი.

7. მათვე თან უნდა ჰქონდეთ პარტიული, კანდიდატების ბილეთები და სხვა შესაფერი მოწმობები იმისა, რომ იგზავნებიან ტფილისში საქართველოს ც. კ. კ. პ. განკარგულებაში ცენტრალურ პარტიულ სკოლისათვის.

8. ცენტრალურ პარტიულ სკოლაში გასაგზავნ ამხანაგებს წინდაწინვე უნდა გამოეცხადოთ, რომ ისინი იცხოვრებენ სკოლაში ყველანი ერთათ და უზრუნველ იქნებიან ყველა საჭირო: [illegible] ნივთებითა, სურსათით და სხვ., და რომ კურსების განავლის დროს (2—3 თვ.) შვებულება არ მიეცემათ.

9. ამხანაგები უნდა გაიგზავნონ სკოლაში იმ ანგარიშით, რომ თბილისში ჩამოვიდნენ და გამოცხადდნენ ც. კ. შესამოწმებელ გამანაწილებელი ქვეგანყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 22) არა უგვიანეს ამა წლის 24 აგვისტოსი. 25 აგვისტოდან მიღება მოისპობა.

თბილისში მოსულთ ამხანაგებს შეამოწმებს ექიმი, ვინც ავადმყოფი აღმოჩნდება, უკან იქნება დაბრუნებული.

ამხანაგები, რომელნიც გამოიგზავნებიან ზემოთაღნიშნულ პირობათა შეუსრულებლათ, უკან იქნებიან დაბრუნებულნი.

ც. კ. წინადადებას იძლევა გაიგზავნოს კურსებზე ამხანაგები შემდეგი ციფრით.

გორისა 22 ადგილი, თიანეთისა 10 ადგ., თელავისა 10 ადგ., სიღნაღისა 10 ადგ., ახალქალაქის 2 ადგ., ბორჩალოსი 15 ადგ., ახალციხისა 10 ადგ., დუშეთისა 10 ადგილი, სამხრეთ-ოსეთისა 10 ადგილი, თბილისისა 15 ადგ. რაჭისა 10 ადგილი, შორაპნისა 20 ადგ., ფოთისა 8 ადგ., ოზურგეთისა 20 ადგ., სენაკისა 10 ადგ., ზუგდიდისა 15 ადგ., ლეჩხუმისა 15 ადგ., ქუთაისისა 20 ადგ., ბათომისა 8 ადგ., [illegible]ისა 20 ადგ. და ახალ. კომ. კავშ. 40 ადგილი.

ც. კ. მდივანი მ. ორახელაშვილი.
გამგე საორგანიზაციო განყოფილებისა: დონენკო.

პროლეტარული დახმარება

რამდენიმე თვეა რაც შეწყდა სამოქალაქო ომი რუსეთში, მოიხსნა [illegible]ულის შემხუთველი ბლოკადა, ამიერ-კავკასია გახდა გარე ვაჭრობის გზათ და ხიდათ და მოსალოდნელი იყო საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოების გამოცოცხლება, შრომის ნაყოფიერების გაძლიერება.

მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ეს ასე არ მოხდა: წარმოება კვლავ არეულ-დარეულია, უილაჯო მდგომარეობაშია, შრომის ნაყოფიერებას ჯერ კიდევ პირი არ უჩანს.

ყველა ამისი მიზეზი კი ახლა ის ახალი „უბედურებაა“, რომელიც ბურჟუაზიამ კი არა, არამედ თვით ბუნებამ, სტიქიამ დაატეხა თავს საბჭოთა ფედერაციას და რომელსაც მოუსავლობა ჰქვია.

მსოფლიო ბურჟუაზია და მასთან ერთათ უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი მენშევიკები ამ ჩვენი უბედურებით მხოლოდ სტკბებიან და დიდი კმაყოფილებით „ნიშნსაც“ გვიგებენ. „აჰა, ახია თქვენზე რაც მოგივათო“, გაიძახიან ისინი და ცდილობენ ისარგებლონ კიდეც ამ ჩვენი უბედურებით, და თავიანთი ჩაიხრეშული საქმეები გამოაკეთონ.

მოუსავლობა, უპურობა, შიმშილი, აი რამ შეაჩერა ამ ჟამათ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსების ძლევა-მოსილი წინმსვლელობა.

პროლეტარიატის „წითელი სამშობლო“ განსაცდელშია! აი დღევანდელი ჩვენი ლოზუნგი.

თუ მოუსავლობის მწარე შედეგებს ბოლო ვერ მოუღეთ, თუ უპურობას და შიმშილს ვერ გავუმკლავდით, ცხადია, შრომის ნაყოფიერებასაც ვერ ვაძლიერებთ, ეკონომიურ კატასტროფას თავიდან ვერ ავიშორებთ და [illegible] რუსეთის დიდი რევოლიუციაც ეგოდენი მსხვერპლითა და განსაცდელით დატვირთული სრული მარცხით დამთავრდება.

მემამულეები თავიანთ მამულებს დაუბრუნდებიან; მეფაბრიკე-მექარხნენი—თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებს; ყველა ჯურის „ხაზეინები“ არხეინათ შეუდგებიან საყვარელ საქმეს—ყვლეფა ძარცვას და მასთან ერთათ ხუცობაც მკვდრეთით აღსდგება და საკმევლის კმევით და სალეცხლურის ქნევით ქუჩებისაკენ გასწევს. შავი რეაქციის სურათი თვალწინ გვიხატება!

მაგრამ არა, საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციურ ბრძოლებში გაწვრთნილი, მრავალ ჭირ ვარამის უნახველ-გამოვლილი და ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილ-გამოწრთობილი მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი იარაღს არ დაყრის: ეს მას არ ჩვევია არავითარი განსაცდელის, არავითარი მტრის წინაშე!

სტიქიურ „უბედურებასთან“ გამკლავების მაგალითებს გვაძლევს თვით ბურჟუაზიული საზოგადოება. თავის ბატონობის ხანში შექმნა ბურჟუაზიამ თავისი საცოდავი ქველმოქმედება და „შავი დღე სათვის“ საჭირო საგნების მომარაგება.

მომარაგება, უნდა ვაღიაროთ, კარგი საქმეა ჩვენთვისაც, მაგრამ მის ხელში ბურჟუაზიულ კერძოთ მოხვეჭა დაგროვების ნიადაგზე ესეც საცოდავ უმნიშვნელო სახეს ღებულობდა. ქველმოქმედებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, ვინაიდან ეს მშიერისათვის მაძღარი ბურჟუაზიის მხოლოდ [illegible] გაღებაა. თანამედროვე მებრძოლი, სახელმწიფოს სათავეში მყოფი პროლეტარიატი ყველა ამგვარ ზომებს და საშუალებებს უარყოფს, ვით უარყოფს ყოველგვარ ბურჟუაზიულს.

მისი ბრძოლის მეთოდი „უბედურებაშიაც“ ისევე თავისებურია, როგორც რევოლიუციურ ბრძოლის დროს.

და აი მთელი რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხკაცობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფეხზე დადგა და შიმშილს სასტიკი ომი გამოუცხადა. ჯერ კიდევ შარშანდელი შიმშილობის ჭრილობები არ იყო მოშუშებული, რომ რუსეთის პროლეტარიატმა თავისი სახელოვანი წინამძღოლის მოწოდებისამებრ დანგრეულ საქართველოს პურით დახმარება აღუთქვა. ეს პური საბჭოთა საქართველომ მიიღო და როცა აღმოჩნდა, რომ ეს მისთვის მეტათ მცირეა და საკმაო არაა, რუსეთის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მას [illegible] მომარაგებულ ოქროს ფონდიდან ერთი ნაწილი უთავაზა.

ამნაირათ ის იყო საქართველო რუსეთის პროლეტარული დახმარებით გაჭირვებიდან უნდა გამოსულიყო, რომ საბჭოთა დედა რუსეთს ახალი „უბედურება“, ახალი მოუსავლობის შედეგები კვლავ თავს დაატყდა: მთელი ვოლგის მხარე საშინლათ დაზიანებულია. ხალხი საშინელ წლის გასაჭირს განიცდის და შველას ითხოულობს, მაშინ როდესაც თვით რუსეთი და მთელი ჩრდილოეთ-სამხრეთი ამ ვოლგის ნაპირებიდან მოელოდა ხსნას.

მომენტი მეტათ ძნელია და კრიტიკული! ყველა სხვა კლასი, ყველა სხვა სახელმწიფო და მერე ისიც დღევანდელ არეულ კატასტროფიულ პირობებში, ცხადია, შედრკებოდა, სულით დაეცემოდა და იარაღს დაყრიდა.

მაგრამ საბჭოთა რუსეთისთვის უკან დახევა, შედრკომა, დაბნეულობა არ არსებობს. ეს ხალხი პურის და ლხინის ერთნაირათ ამტანია, ის „ქვითკირივით უმაგრდება“ მოწოლილ „უბედურებას“ და იმედს ოდნავაც არ ჰკარგავს.

მთელი რუსეთის სივრცეზე გაისმის დღეს მხოლოთ ერთი პროლეტარული ყიჟინა, პროლეტარული შველის, დახმარების ყიჟინა „მიეშველეთ ვოლგის მხრის მშრომელ ხალხს, მიაწოდეთ მას პური!“

გაიღეთ მის საშველოთ ყველაფერი, რაც კი მოგეძებნებათ!

და აი წითელი არმიაც, რომელიც დღემდე თვით იკვებებოდა იმ ხალხის [illegible], ხელს იღებს მისდამი კუთვნილ ულუფაზე, ლუკმაზე და ძმურათ უნაწილებს მას დამშეულ ვოლგელებს! დახმარების ხმა გაისმის მეზობელ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში: აზერბაიჯანში, თურქესტანში, სომხეთში და საქართველოში. თვითონ დამშეულ ამ რესპუბლიკებში ყველგან დგება პროლეტარული დახმარების კომისიები, რომელთა მოვალეობაა შეაგროვონ პური ამ რესპუბლიკებში და დროზე მიაშველონ დამშეულ ვოლგელებს.

მშიერნი მშიერს თანაუგრძნობენ, თვარა ცნობილია „მაძღარს მშიერის არა გაეგება“ რა! „ერთი თხილის მარცვალი ცხრა ძმამ ერთი ერთში გაიწილაო“ ამბობს ქართველი ხალხის ძველი გადმოცემა და აი იმ ძველი თქმულების თანახმათ ის უნაწილებს თავის მეზობელ და მოძმე, მისი პირისა და ლხინის მოზიარე მშრომელ ხალხს რუსეთისას, თავის ლუკმას, იმ ხალხს—რომელიც ყოველ ჟამს მზათ არის ძმური მშველელი ხელი გამოუწოდოს მას, როცა კი ამის საჭიროება მოითხოვს.

აი როგორია პროლეტარული სოლიდარობა, რით შეძლებენ თავი დაიხსნან დღევანდელ საბედისწერო განსაცდელისგან საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასსებმა.

რ. ქ.

ხმა სოფლიდან

1.

ჩვენ წინ დევს 24 გვერდიანი პატარა ჟურნალი სათაურით: „თავისუფალი საქართველო“, № 2 ჟურნალს მორცხვი წარწერა აქვს—„ხელნაწერის უფლებით“. ჟურნალი შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში, პირველი ნომრის არა ვიცი რა. [illegible] ქართველ მენშევიკების შემოქმედების ნაყოფია ეს ჟურნალი, მისი დანიშნულებაა ხელმძღვანელობა გაუწიოს საზღვარ-გარეთიდან საქართველოში მყოფ მენშევიკებს, და რასაკვირველია, მთელი შინაარსი, მეთაურიდან დაწყებული ქრონიკამდის, უტრიალებს კომუნისტებს რუსეთ საქართველოისას. ქართველ მენშევიკებს რომ წერა შეუძლიათ, მათ რომ დიდი უნარი აქვთ საქვეყნოთ ყვირილის და მსოფლიოს გაყრუების, ამას ვერვინ უარჰყოფს. მაგრამ დღეს მათ ხმა ჩაიწყვეტიათ და თითქოს სიტყვების გამოძებნაც კი უძნელდებათ, მიუხედავათ იმისა, რომ ემიგრაციაში თავისუფალი დრო ბევრი აქვთ და მოცალეობაც. მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას. მდგომარეობა ქართველ მენშევიკების კი ისეთია, რომ რაც უნდა სწურონ თავიანთი ტვინი, რაც უნდა ენერგიულად გამოივლონ თავის ქალაში, ბურჟუაზიული სადეზინფექციო სითხე—მაინც შეუძლებელია მათთვის რაიმე ნათელი და გარკვეული ხაზიანი აზრის გამომუშავება. ასეთია ბუნება წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის. საქართველოში სამი წლის განმავლობაში ბრძანებლობდა ქართული მენშევიზმი ამ სამი წლის განმავლობაში ის მხოლოდ ყოყოჩობდა და ბაქიობდა, თავს იქებდა და ზეიმობდა, ცხვირს იქით ვერაფერს ხედავდა და უმაღლესად აფურთხებდა ყველას და ყოველივეს. ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს მან განიცადა საშინელი კრახი და ბატონობის ტახტიდან დასავლეთის იმპერიალისტების ბინის კიბესთან ამოჰყო თავი დასაწყლებულად. გეგონებათ—ის ჩაუკვირდა ამ მოვლენის აზრს, აიწონ დასწონა დაგვიანებით მაინც თავის გამეფების და მტვრათქცევის მიზეზები და სათანადო დასკვნა გამოიყვანა. არაფერი ამის მსგავსი. ქართველი მენშევიკებისა ვის არ არსებობს არც ისტორიული კანონები და ისტორიული აუცილებლობა, არც მდგომარეობის შეფასება, მათ იციან, რომ ბატონობა დაკარგეს, რომ კომუნისტებმა გარეკეს ისინი და ისტორიის სასაკლაოზე გააგდეს. მეტს არ დაეძიებენ: მოთქვამენ და იგინებიან, იგინებიან და მოსთქვამენ. მათი ჟურნალი სრული ანარეკლია მათი აწინდელი უბადრუკი და ყოვლად საცოდავი ყოფა-მდგომარეობისა. თითის წვერიდან გამოწოვილი ჭორებით და სიყალბით სავსე „საქართველოს ამბებით“ გულს იოხებენ და უბედურ დღეების კაეშანს იქარწყლებენ თითქოს. მაგალითად, საქართველოს პროფკავშირების ახლანდელ მდგომარეობას მენშევიკები ასწერენ ისე, რომ გეგონებათ—ახლაც ხელმძღვანელები და კიდევაც მთავარანგელოზები თუ ნაგაზები მფარველობენ ამ კავშირებს. „დანიშნულები უმთავრესად ახლად ჩამოსული ან ჩამოყვანილი ელემენტებია“ კავშირებშიო—ასე იწუწუნებს თავის თუ ამხელს „მოძალადე“ ბოლშევიკებს ჟურნალის მოამბე. თითქო არც კი იცოდეს ამ პატივცემულმა გვამმა, თუ ვისი წყალობით იყვნენ ასობით და ათასობით კომუნისტები და ეტაპებით გადასახლებული საქართველოდან; თითქოს არც კი გაეგონოს მას, რომ საქართველოს პროფკავშირთა ყრილობამ და თითოეულ კავშირის კრებებმა აირჩიეს ადგილობრივი და ცენტრალური საბჭოები და ამ საბჭოებში მოხვედრილი თითო-ოროლა მენშევიკი დღეს ისე გამოიყურება როგორც სამუზეუმო სიძველე.

პირველ მაისობის შესახებ ჟურნალი იძლევა იმგვარივე სწორ ინფორმაციას; თბილისში პირველ მაისობის მონაწილე თურმე იყვნენ მარტო „რუსი ჩინოვნიკები, მოხელეები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ დასწრება, და სპეკულიანტები“... ის დიადი ინტერნაციონალური სანახაობა, რომელსაც წარმოადგენდა თბილისი ა. წ. პირველ მაისს, როცა თბილისის პროლეტარიატის მთელი შემადგენლობა განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ეროვნებისა და რწმენა-შეხედულებისა ქუჩაში გამოვიდა, როცა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქს სტუმრათ ეწვია მთელი ახლობელი აღმოსავლეთის მშრომელთა დელეგატები,—ასე გამოიყურება ცოფმორეულ წვრილ ბურჟუას გაღუნულ სარკეში.

ასეთივე სისწორისაა ინფორმაცია საბჭოთა რუსეთის შესახებ. გველის წიწილს სახელი გაისმის ყოველ მწერალში, მაგრამ იხეთი გველის, რომელსაც ხერხემლის ძვალი უკვე გადატეხილი აქვს და მხოლოდ ენის წვეროს აცმაცურებს და სისინობს, სისინობს... „მთელი რუსეთი ცეცხლის ალშია გახვეული. არ არის კუთხე, არ არის [illegible] რაიონი, სადაც რამოდენიმე რაზმი, შემდგარი უბრალო გლეხებისაგან, არ იბრძოდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ.. აჯანყებულია ციმბირი, აჯანყებულია უკრაინა და შიდა რუსეთი.. არ არის სიწყნარე არც ყუბანში, დონში, დაღესტანში და სხვაგან“—ზეპირათ იმეორებს ჟურნალი თავის თანამოძმე რუსეთის თეთრ გვარდიელების ლათაიებს. ამასთანავე თავის ფურცლებში ალაგებს მილიუკოვის გაზეთის ამონაჭრებს, სადაც მოთხრობილია პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშების შეიარაღებული აჯანყების ამბები, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ მენშევიკების ნაწუხარების მონაწილე თეთრგვარდიელების სანეტარო სიზმარში და არა წითელი რუსეთის ქალაქების ქუჩებში.

ჟურნალში მოწინავე წერილიც არის. აქიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ საქართვ. წითელი ლაშქარი ყოფილა „წმინდა რეაქციონური არმია, რომელიც ყოფილი ორი სტრაჟნიკების და სომხის სპეკულიანტების ხარჯით ევლინებიან დღეს საქართველოს, როგორც კომუნისტების ავანგარდი“. ვტყობილობთ აგრეთვე, რომ საქ. კომუნისტებმა „გაანადგურეს წარმოების ახალი ყლორტები, რომელთაც დემოკრატიულ წყობილების ნიადაგზე იწყეს ზრდა საქართველოში!“. მაგრამ ამ ზეპირ სიტყვაობაზე უფრო საინტერესოა აი რა. საქართველოს სიმდიდრით დატვირთული გემებით ევროპაში გახიზნული მენშევიკების ჟურნალი სწერს: „მათ (ე. ი. საქ. კომუნისტებს) უნდათ უცხოეთის საბაზროზე გამოიტანონ მთელი ერის სიმდიდრე და მზათ არიან ხალხის აწმყო და მომავალი ავლა-დიდება [illegible] ჩაუყარონ ხელში პირველ გამვლელს, ოღონდ კი გაახანგრძლივონ თავიანთ არსებობა. ისინი შეასრულებენ კიდეც თავის განზრახვებს, რომ მოხერხება ქონდეთ ყველაფრის გაყიდვის და საკმაო ნდობა მოიპოვებოდეთ მყიდველებში, ე. ი. ევროპის ბურჟუაზიის!“ ქურდს რომ ყველა ქურდი გონია, ეს ძველი ძველი ჭეშმარიტებაა. მაგრამ საქართველოს პირწმინდათ გამცარცვავ მენშევიკებმა რაიმე საზღვარი მაინც უნდა იცოდნენ „ყარაულის“ ყვირილში, სანამ საქართველოს მშრომელთ არ დავიწყებია არც მათი სამი წლის [illegible] პარპაში აქ და არც მათი გაქცევა და გაზიდვა აქედან ყველაფრის, რასაც კი იმპერიალისტების სავაჭრო და ჯავშნოსანი გემები დაიტევდნენ, თვით გელათის მონასტრის განძეულობისა და თამარ მეფის ოქროს და ძვირფას თვლიან ქოშებამდე.

ან ეგების ნ. ჟორდანიას მთავრობა არ ვაჭრობდა საზღვარგარეთთან და ვრანგელთანაც კი? არ გაქონდა გასაყიდათ არა მარტო რუსეთის ჯარის მიერ აქ დატოვებული აურაცხელი სიმდიდრე, არამედ ხალხის ნაპირნახულევი თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ხე-ტყე, შავი ქვა, ბორჯომის წყალი, ღვინო და სხვ.? ან შეიძლება სოც.-დემოკრატიული მთავრობა უარჰყოფდა კონცესიებს და დემოკრატიის უფლებების შელახვად მიაჩნდა ტყვარჩელის მაღაროების კონცესიით გაცემა იტალიელებზე?

მაგრამ კმარა. როცა გამოაშკარავებული ქურდი გარბის და თან გაჰკივის,—ქურდი დაიჭირეთო, არავინ მოსტყუვდება მენშევიკების [illegible], რადგან ყველამ იცის, რომ თუ კი რამ ფასეულობა მოიპოვებოდა დაღარიბებულ საქართველოში, ყოველივე გაიპარეს აქედან მენშევიკებმა. რის ჩაჯიბვა მოასწრეს, მით ცხოვრობენ დღეს იმპერიალისტების კალთებ ქვეშ, რაც არა და—თავიანთ მფარველთ, იმავე იმპერიალისტებს მიართვეს ძღვნად, რათა ამ იუდას ვერცხლით მოინადირონ მათი გული და მათი შავი ლაშქრის ხიშტებით დაიბრუნონ ტახტი და ბატონობა.

შ. ო.

სასურსათო კომპანიისათვის

სასურსათო გადასახადის უმტკივნეულოდ ჩატარებისათვის საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობა. გლეხმა, რომელსაც ეხება ეს სასურსათო გადასახადი უნდა იცოდეს რას წარმოადგენს ასეთი გადასახადი, რითაა ის გამოწვეული და ვის ემსახურება, ამ გადასახადის აკრების დროს ძალდატანების ფორმამ ადგილი უნდა დაუთმოს ნებაყოფლობით გაღების ფორმას.

რევოლიუციამ როგორც მუშა ისე გლეხი გაანთავისუფლა ყოველგვარ ჩაგვრა ბატონობისაგან, გლეხს მან შედარებით მუშასთან ნაკლები მოსთხოვა და მეტი მისცა. რევოლიუციის პროცესში მეურნეობა ისე არ დაზიანებულა როგორც მრეწველობა. ეკონომიური კრიზისის სიმძიმეს უმთავრესათ მუშა გრძნობს, მას გლეხი იმდენათ არ შეუწუხებია. მაშინ, როდესაც ქალაქის მუშები ნახევრათ მშიერობენ, გლეხს გასასყიდიც კი აქვს, არაც თუ საყოფი.

ასეთი მდგომარეობა გლეხს ზეციდან არ ჩამოფრენია.—მან ეს მოიპოვა უმთავრესათ მუშის დახმარებით, რევოლიუციის დანახარჯი მუშამ გაიტანა, ნაყოფით კი გლეხს ასარგებლა—რევოლიუციის წყალობაა, რომ მიწის მუშა თავის შრომის ნაყოფის პატრონია და მას მემამულის სასიმიდოებში არ მიეზიდება. ამავე რევოლიუციის წყალობაა, რომ ის არც გადასახადის გადახდის გამო იძულებული [illegible] მიჰყიდოს ჩარჩს ჯერ კიდევ მოუწეველი ყანაში მყოფი ჭირნახული.

და დღეს რევოლიუციის საქმე ისე შეტრიალდა, რომ უნდა უწილადოს მან თავისი სარჩოს მცირედი ნაწილი თავის მებრძოლ ამხანაგს მუშას, რომლის წყალობითაც მან მოიპოვა ასეთი მდგომარეობა და რომლის წყალობითაც ის სარგებლობს თავის შრომის ნაყოფით. გლეხმა უნდა გაიგოს რომ დღევანდელი გლეხის შედარებითი უკეთესი მდგომარეობა რევოლიუციასთან მჭიდროთაა დაკავშირებული და რევოლიუციას რომ მუშის თანაგრძნობა და თავდადება მოაკლდეს ის დამარცხდება და გლეხსაც ეს მდგომარეობა დაეკარგება. მაშინ მისი შრომის ნაყოფის უმეტეს ნაწილს მის შემაწუხებელ დამჩაგვრელ და მუქთა ხორა ბატონებისათვის წაიღებენ, და ჩამოართმევენ არა ზედმეტს და მცირედ ნაწილს არამედ თავის სარჩოს და ბლომადაც. სხვანაირადაც იგივე მდგომარეობა შეიქმნება, რომ გლეხი იძულებული გახდება ხვალის გამოსაკვები სიმინდი დღეს გაჰყიდოს.

ამგვარათ რევოლიუციის იქით გლეხს საშველი არაა, რევოლიუციის გარეშე ის დაიღუპება. გლეხი, თუ ის თავის ინტერესებს რამდენიმეთ მაინც შეიგნებს, რევოლიუციას ერთგულ დარაჯათ გაუხდება.

რას მოითხოვს ამ ჟამად რევოლიუცია მისგან? მოითხოვს თავდადებას არა ფრონტებზე, არა სისხლის დაღვრით არამედ ზედმეტი სარჩოს მუშისათვის გაწილადებას, იმ მუშისათვის, რომლებიც რევოლიუციას სათავეში უდგანან, რომლებმაც ამ რევოლიუციის საქმეს ყველაფერი შესწირეს, და რომლებიც დღესაც გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე თოფ-იარაღით ხელში დგანან, გლეხისათვის აქ არჩევანი ძნელი არ უნდა იყვეს მას ბევრი ყოყმანი არ უნდა დასჭირდეს და მან სიამოვნებით უნდა მისცეს რევოლიუციისათვის წამებულ მუშათა კლასს თავისთვის ზოგჯერ ზედმეტი და ზოგჯერაც უმნიშვნელო ნაწილი ლუკმა პური, რათა არ დაკარგოს მუშათა კლასმა ფიზიკური ძალა მტერთან ბრძოლისა და რევოლიუციით მონაპოვარი მიწა და შრომის ექსპლოატაციის განთავისუფლება უზრუნველყოფილი იქნეს.

უნდა ითქვას რომ სამწუხაროთ გლეხობას ყველგან არა აქვს ეს საანბანო ჭეშმარიტება შეგნებული. მოწამლული ატმოსფერაა და ამ ატმოსფერის გავლენით ის ზოგჯერ ცუდათ აზროვნობს და ცუდათ მსჯელობს. ამას ხელს უწყობენ ის პროვოკატორები და მეჭორიკანეები, რომლებითაც სავსეა დღეს ჩვენი სოფლები და რომლებიც დახელოვნებულნი არიან წყლის ამღვრევაში თევზის დასაჭერათ. ამიტომაც სასურსათო კომპანიის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს ფართო ხასიათის აგიტაცია და მეჭორიკანე-პროვოკატორების აღმოსაფხვრელად დაუნდობელი ბრძოლა. აგიტაციამ უნდა შეაგნებინოს გლეხს თავისი ინტერესები და თავისი მოვალეობა თავის თავისა და რევოლიუციისადმი.

გლეხმა უნდა გაიგოს რომ მისგან გაღებული მისთვის ზედმეტი პური მარტო რევოლიუციით მონაპოვრის უზრუნველყოფას კი არ მოხმარდება, არამედ ხელს შეუწყობს ქალაქებში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარებას და მით საშუალებას მისცემს მთავრობას მოუტანოს სოფელს მისთვის საჭირო საფაბრიკო საქონელი. ამგვარად როგორადაც არ უნდა მიუდგეთ საკითხს, გლეხის ყოველმხრივი ინტერესები მოითხოვს დადგეს ის აქ თავის მდგომარეობის სიმაღლეზე და გაიღოს იმის მცირედი ნაწილი, რაც რევოლიუციამ მისცა მას, და რაც დაეკარგება, თუ რევოლიუცია დამარცხდება. მუშა ამ კრიტიკულ წამს თავის მდგომარეობის სიმაღლეზე სდგას და მოუწოდებს გლეხებსაც ამოუდგეს აქ და ამოუდგეს მას გვერდში. მუშისა და გლეხის ერთობამ მოგვცა რევოლიუცია და ისევე ერთობა შეგვინარჩუნებს მას.

სიტყვა საქართველოს მშრომელ გლეხობას ეკუთვნის, ისტორია მას საბედისწერო გამოცდას უნიშნავს და ჩვენ დარწმუნებული ვართ ის ღირსეულ პასუხს მოგვცემს ამ მხრივ საქმით და ღირსეულადაც ჩაატარებს ამ გამოცდას.

გ. მეზუკა

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეხუთე (26 ივნისი)

კამათი ამხ. ზინოვიევის მოხსენების შესახებ.

სხდომას ხსნის საღამოის 7 ს. და 40 წუთ. ამხ. კოენენი და სიტყვას აძლევს გერმ. კომ. მუშათა პარტიის წარმომადგენელს ამხ. ჰემპელს.

ამხ. ჰემპელი წინააღმდეგია იმისა, რომ ზინოვიევი მათ ათავსებს სერრატის, დიტმანის და სხვა ოპორტიუნისტულ კომპანიასთან ერთად. ჩვენ რომ ოპორტიუნიზმისაგან შორსა ვართ,—ამბობს ამხ. ჰემპელი,—ამას მაჩვენებელია ჩვენი პარტიის მთელი ისტორია, მთელი ჩვენი რევოლიუციური ბრძოლა. დაწვრილებით ჩვენი პროგრამისა და ტაქტიკის შესახებ ვილაპარაკებთ დღის წესრიგის სხვა მუხლების გარჩევის დროს. ილაშქრებდა რა ბროშურის წინააღმდეგ: „ლევის გზა არის გზა გერმანიის კომუნისტური პარტიის გაერთიანებისა“ რის სრულ პასუხისმგებლობას ჩვენ ვღებულობთ, ამხ. ზინოვიევს სურდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენ საზოგადოთ ვართ წინააღმდეგი მასიური პარტიების, მაგრამ ჩვენ, ამბობს ჰემპელი, ყოველთვის ვეძიებდით ბრძოლას მასსებთან ერთად, მაგრამ [illegible] ამ მასსებს არა იმ მეთოდებით, რომლებიც მიიღო მე-2-რე კონგრესმა. შემდეგ ამხ. ჰემპელი მიდის ამხ. ზინოვიევის წინაწარმეტყველობის წინააღმდეგ, რომ გერ. კომ. მუშ. პარტია მალე ამოყოფს თავს საბჭოთა რუსეთის მტერთა ბანაკში და ამბობს, რომ პარტია ყოველთვის იბრძოდა და იბრძოლებს პროლეტარულ საბჭოთა რუსეთისთვის, თუ მას მე-3 ინტერნაციონალიდან გასვლაც კი მოუხდება.

ამხ. ფრიდლიხი. (გ. გაერ. კომ. პ.რ.) ეთანხმება, რომ საჭიროა გერ. კომ. მუშ. პარ. და მე 3 ინტერნაციონალთან მისი დამოკიდებულების საკითხის გადაჭრა, ჩვენ პროტესტს ვაცხადებდით მისი მიღების წინააღმდეგ, როგორც თანამგრძნობის, როგორც რევოლიუციონურის. ეს იყო გადამეტება. პარტიას ჰქონდა სექტანტობა, რომელიც გამოიხატა მის ყოფა-ქცევაში და პარლამენტარიზმთან დამოკიდებულებაში. გ. კ. მ. პ. დამოკიდებულება ნაწილობრივ გამოსვლებთან უარყოფითი იყო. ჩვენ ვსინჯეთ მასთან ერთად მუშაობა. აღმოჩნდა, რომ მარტის დღეებში ჩვენ შეგვეძლო პრაქტიკულათ შევთანხმებულიყავით, მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ მას არ შეუძლია გაერკვეს პოლიტიკურ კითხვებში, მალე თვითონ [illegible] გორტერის, გამოჩენილი მარქსისტის პირით უწოდეს „вспышкопускательство“, ე. ი. განმეორებს ლევის სიტყვები; და ამას ამბობენ იმ დროს, როდესაც გ. კ. მ. პ, თვითონ აწერდა თავის თავს აჯანყების პატივს ჩვენ ბევრი დასკვნა გავაკეთეთ მარტის დღეებიდან; ჩვენ დავრწმუნდით დისციპლინის, ცენტრალიზაციის გაძლიერების აუცილებლობაში, განსაკუთრებით აქტიურ მოქმედების დროს, მაგრამ გ. კ. მ. პ. სწორეთ მოწინააღმდეგეა ამისი. ჩვენ არ გავწყვიტეთ კავშირი გ. კ. მ. პ., მაგრამ ის აყენებს ახლა ახალ თეორიებს და ფიქრობს თქვენს ახალი სიჭკვიანე: ჩვენ არ შეგვეძლიან მოვახდინოთ აქტიური გამოსვლები, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების, აპარატის პასიურ საბოტაჟისათვის.

გ. კ. მ. პ. არის საგრძნობი ნაწილი მუშებისა, რომლებიც ნამდვილად არიან რევოლიუციონურათ იბრძოლებენ და ისინი ჩვენკენაა, ისინი წამოვლენ ჩვენთან მათი ბელადების დაუკითხავათაც კი, თუ კი ინტერნაციონალი მიმართავს მათ უშუალოთ. ამხ. როლანდ ჰოლსტი (ჰოლანდია) ამხ. ზინოვიევის მკაცრი სიტყვების გამო საჭიროთ თვლის განაცხადოს, რომ ეს არაა ჰოლანდიის მოძღვრება, რომ არ არსებობს ნაციონალური მარქსიზმი. გორტერი, პანეკუკი კომინტერნის საუკეთესო თავდებია, მაგრამ ცხოვრობენ იმ ქვეყანაში, სადაც არაა მასიური მუშათა მოძრაობა, სადაც არაა საკმარისი კავშირი პარტიასა და მასსას შორის და ბუნებრივია ერთგვარი ცალმხრივობა. ორივე ისინი მოხარული იქნებოდნენ ყოფილიყვნენ მოსკოვში, თუ არა შემთხვევითი გარემოებანი. მე 2 კონგრესზე დაბეჭდილ და გავრცელებულ იქნა პანეკუკის ბროშიურა. „კომუნ. ინტერ.“ მე-17 № არის ამხ. ტროცკის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელმაც საუცხოვოთ [illegible] მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ რატომ არაა იქ გორტერის სიტყვა, რომლის წინააღმდეგაც ლაპარაკობდა ტროცკი?

თავისი მონაწილეობა ორგანიზაციებში გ. კ. მ. პ. მიაჩნია არა უადგილოთ სწორეთ ისე, როგორც მონაწილეობა სხვა ინტერნაციონალურ კომუნისტურ ორგანიზაციებშიც. მაგრამ გვქონდა იმედი, რომ ეს დიდი ხნით არ იქნება, რომ გ. კ. მ. პ. შესძლებს გადალახოს დაბრკოლებები და შეუერთდეს გერმ. გაერთ. კომ. პარტიას. ჩემი რწმენაა, რომ დისციპლინა, პროლეტარული ერთობა არის პრინციპის საკითხი, საერთაშორისო პროლეტარიატის არსებობის საფუძვლის საკითხი, და რამდენიმე პარტიის არსებობა საზიანოა.

ამხ. ნეუმანი (გ. გ. კ. პ.) აღნიშნავს, რომ გ. კ. მ. პ. მიღებას მე III ინტერნაციონალში, როგორც თანამგრძნობის, ცუდი შედეგები ჰქონდა, რომლებმაც შეაჩერა მუშების გადმოსვლა გერმ. გაერთ. კომპარტიაში და ჩააგონა მუშებს ყალბი წარმოდგენა კომინტერნის დამოკიდებულების შესახებ პროფმოძრაობასთან; მუშებს ეგონათ, რომ კომინტერნი იწონებს გ. კ. მ. პ. მისწრაფებას გათიშოს პროფკავშირები, რაც იწვევდა მხოლოდ ბიუროკრატიის გამაგრებას პროფკავშირებში. ორატორი პროტესტს აცხადებს ამ პარტიისათვის „თანაგრძნობის“ სახელწოდების წინააღმდეგ, რადგანაც ის ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლის გერ. გაერთ. კომპარტიის მუშაობას და აგინებს მას. არა ერთხელ ვცდილვართ ჩვენ მოვრიგებოდით მას, მაგრამ უშედეგოთ. კონგრესმა უნდა დაიკავოს სრულიად გარკვეული პოზიცია გ. კ. მ. პ. მიმართ და ბოლო მოუღოს ამ სრულიად მიუღებელ მდგომარეობას.

ამხ. ხეტო (ჰოლანდია), არ არის მართალი, ვითომ არსებობდეს ჰოლანდიის სკოლა, რომელიც იცავს გ. კ. მ. პ. ტაქტიკას. ასეთი არც ყოფილა. ჩვენ ყოველთვის ვეთანხმებოდით რ. კ. პ. ტაქტიკას. თუმც გ. კ. მ. პ. შკოლა არის ჰოლანდიაში, მაგრამ ჩვენს პარტიას არაფერი საერთო არა აქვს მასთან. როლანდ-ჰოლსტი არ არის მართალი, როდესაც აცხადებს, რომ არაა მასიური ორგანიზაცია. არა, ეს არაა მართალი, მასიური მოძრაობა არის, მაგრამ გორტერი და პანეკუკი არ არიან დაკავშირებული მასსებთან. და ჩვენ გვჯერა, რომ კონგრესმა დაამოწმოს, რომ ამ ორი ამხანაგის ტაქტიკა უვარგისია მასსებისთვის.

ამხ. მიხალიაკი (პოლონეთი). პოლონეთის პარტიასა და ალმასკომს შორის კავშირი ძლიერ სუსტი იყო, თუმცა ჩვენ პირველი კომპარტია ვიყავით 1918 წლიდან, მაგრამ კავშირი სუსტი იყო სიახლოვის მიუხედავათ. ჩვენ გვყავდა ჩვენი პარტიული პროფკავშირები ომამდე, მაგრამ ომმა ისინი დაანგრია და ჩვენ წარმატებით ვმუშაობთ უპარტიო კავშირებში. ჩვენ იყო, როგორც მეფის დროს განვაგრძობთ არალეგალურათ ყოფნას და მაინც ვცდილობთ გავხდეთ მასიური პარტია. ჩვენ გვქონდა სპეციალური ტაქტიკური საკითხი ჩვენი ტერიტორიალური მეზობლობის გამო საბჭოთა რუსეთსა და უკრაინასთან, და ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა საკითხი ტაქტიკის შესახებ ომის შემთხვევის დროს საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის. პოლონეთის კომპარტიის დამოკიდებულება გარკვეული იყო იმ მხრით, რომ ჩვენ ვუყურებდით წითელ არმიას, როგორც ჩვენს მეგობარს, ხოლო პოლონეთის ნაციონალურ არმიას კი, როგორც ჩვენს მტერს.

ამხ. ზერმანი (გ. კ. მ. პ.) პროტესტს აცხადებს მათი გადარიცხვის წინააღმდეგ დიტმანის ბანაკში და ფიქრობს რომ მათ მოწინააღმდეგეებს არ აქვთ შეგნება, თუ რა არის ოპოზიცია; ეყრდნობა რუსებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტის უფლებებს და სასტიკ პოლიტიკას აწარმოებდნენ, როდესაც საჭირო იყო, ეს კი სასარგებლო იყო, ჩვენს ოპოზიციაში ჯანსაღი გულია და არ შეიძლება შევბორკოთ კრიტიკა კომინტერნის რთულ ორგანიზმში, მხოლოთ საჭიროა მისი გონივრულად გამოყენება.

ამხ. ჯენარი (იტალია). იტალიის სექცია სავსებით ეთანხმება ალმასკომის ტაქტიკას. ჩვენ გამოვედით კიდევ ახალი ფაქტებით იტალიის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ, თუ საჭირო იქნება. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ სხვა პარტიები სერატისებურ ილუზიებისაგან, განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკების, სადაც დამოკიდებულება გვახსენებს ჩვენსას, როგორიც იყო იტალიაში. ალმასკომი მეტად დიდი ნდობით უყურებს შმერალს, რომელიც იყო ავსტრიის იმპერიალიზმის სამსახურში დაკარგა რა მასსების ნდობა შმერალ მიდის ზინოვიევთან, რათა გამოასწოროს თავისი საქმეები. დეკემბრის გაფიცვის შემდეგ „პრავოლიუდი“-ს ერთი რედაქტორი სწერდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ; მუშები მოითხოვენ მის გაშვებას, მაგრამ შმერალი მას იცავდა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ შმერალი არ დარჩეს მეტად ბელადის პოსტზე და რომ ალმასკომმა მიმართოს მოწოდებით ამის შესახებ ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატს და აგრეთვე მეორე მოწოდებით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს ცენტრიზმის და მასთან ბრძოლის საკითხის შესახებ.

ამხ. ჰეკერი (გ. გ. ვ. პ.) იტალიის საკითხმა, ამბობს, ამხ. ჰეკერი, გამოიწვია კრიზისი გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. სერატიმ სიტყვა დასდო მე II კონგრესზე, რომელიც მოეპყრო მას სრული ნდობით, რომ იტალიაში დაბრუნებისას ეცდება რევოლიუციონურ მოძრაობის გამოწვევას კომინტერნის გადაწყვეტილების თანახმათ. მაგრამ კონგრესი შეცდა—სერატიმ გვიღალატა. ის დაბრუნდა თუ არა შინ, გამოუცხადა საბოტაჟი კომინტერნის გადაწყვეტილებებს. 28 დეკემბერს 1920 წ. მან მოათავსა სტატია მემარჯვენე დამოუკიდებლობის მეცნიერულ ჟურნალში („სოციალ სტ...“), რომელსაც რედაქტორობს [illegible], სადაც ის აცხადებს: სისულელეა ფიქრიც რომ რევოლიუცია რუსეთში მოახდინეს ფართო მუშათა მასსებმა. სრულიადაც არა. ის მოახდინა ერთი მუჭა საბჭოთა ბურჟუაზიამ და ხალხის მონაწილეობის მიუღებლათ. ამხ. ჰეკერი ნახულობს, რომ ასეთი განცხადებით მან დანაშაული ჩაიდინა საბჭოთა რუსეთის მიმართ, და რაც უმთავრესია, მას სტატია ესაჭიროებოდა იმისთვის, რომ წინააღმდეგ კომინტერნისა შეეკრა და შეექო ცენტრისტი ტურატი, რომელიც, აბა ერთი ნახეთ, ბელადია. რომელიც გამოდის მასების წინაშე, სიტყვას ამბობს პარლამენტში და სხვ. ლევის შესახებ, რომ გაგზავნილი იყო გერმანიის პარტიის მიერ ლივორნოში, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ჰეკერი ამბობს, რომ ის საზიზღრათ იქცეოდა იქ როდესაც საკითხი ისმებოდა გადაჭრით—ან კომინტერნთან, ან ტურატისთან,—ლევიმ თქვა, რომ კომინტერნის ალმასკომს უნდა რასკოლი რომ მისი პოლიტიკამ, შექმნას პატარა სექტებით. როდესაც შემდეგ გერმანიის პარტიულ საბჭოში გადავწყვიტეთ, რომ რასკოლი ლივორნოში საჭირო იყო, ლევიმ გალანძღა საბჭო და ირონიულათ იხსენიებდა მოსკოვს. ლაპარაკობს რა სერატის შესახებ, ჰეკერს საჭიროთ მიაჩნია შეეხოს იტალიის ოპორტუნისტების მეორე გზის, სახელდობრ, დარაგონას, სწორეთ იმ დარაგონას, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ამსტერდამის კონგრესზედაც საბჭოთა რუსეთის მიმართ სიძულვილით აღსავსე მოწოდების შედგენაში. აი იტალიის პარტიის გმირები, ამბობს ამხ. ჰეკერი, რომლებსაც ლევი იცავდა გაძევებისაგან. მაგრამ შეიძლება ალმასკომმა ჩაიდინა საბედისწერო შეცდომა, შეიძლება ის არა სამართლიანათ სჯიდა მათ? მაშ დაუგდეთ ყური, თუ რას სწერს „ავანტი“ 16 ივნისის ნუმერში: „რუსეთში უკვე გაემგზავრნენ ჩვენი ამხანაგები კონსტანტინე ლაზარი, მარდინი, რიბოლდი იმისთვის, რომ კომინტერნის მე-III კონგრესზე წარმოადგინონ იტალიის სოციალისტური პარტია. დელეგაცია არაა აღსავსე ისეთივე იმედებით, როგორც გასულ წელს და არ მიაქვს თან ჩვენი პარტიის ენთუზიაზმი ინტერნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელებისადმი. საფრანგეთში კომუნისტური მოძრაობა [illegible] და უფრო მეტად, ვიდრე იტალიის სოციალისტები. გერმანიაში კომინტერნის ალმასკომის მძიმე შეცდომების გამო გამოწვეულია ღრმა კრიზისი ამ პარტიაში, რომელზედაც ამდენი იმედები იყო დამყარებული“.

ჰეკერი ამბობს, რომ გავუფრთხილდეთ ასეთ ელემენტებს. თანახმაა რა სავსებით იმისი, რასაც ამბობდა აქ ამხ. ჯენარი ჩეხო-სლოვაკიაზე, ის სავსებით იწონებს ალმასკომის ტაქტიკას და პოლიტიკას მიმდინარე წლის განმავლობაში და ურჩევს კონგრესს მოიწონოს ის ამ მხრივ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზმის სამეფოებში

ბალტიის ზღვაზე

ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაზე

ნაუენი. 3 აგვისტო. (რადიო) გერმანიის წყაროები იუწყებიან: ინგლისის ესკადრას გასაჩერებელი ადგილი ექნება ბალტიის ზღვაზე, დანციგში კი —ბაზა. ევროპის სახელმწიფოთა შორის ეს იწვევს სხვა და სხვაგვარ შიშს და ღელვებას, საზღვაო სამხედრო ძალთა უფლის საკითხი ბალტიის ზღვაზე ძლიერ ახლო ეხება მთელი ევროპის ინტერესებს. გერმანიის პრესა მიუთითებს იმას, რომ შვეციას თვისი სამხედრო ძალები უნდა წინაღუდგინა ინგლისის სამხედრო საზღვაო ძალების წინააღმდეგ და თავისი სამხედრო ფლოტი განავითაროს. შვეციის პრესა დაბეჯითებით მოითხოვს, რათა ბალტიის ზღვა თავისუფალი დარჩეს და წინააღმდეგობას აძლევს შვეციის მთავრობას ძლიერ ანტანტის წინაშე სათანადო საკითხი,

საფრანგეთი

ანტიმთავრობის მიტინგი საფრანგეთში.

პარიზი. 20 ივლისი. საფრანგეთის რადიკალთა და სოციალ-რადიკალთა პარტიათა გაერთიანებულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია ლიონში დიდი მიტინგი, რომელზედაც მოსმენილი იყო მოხსენება საფრანგეთის შინაგანი და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ტერიო, რომელმაც აღნიშნა საფრანგეთის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, შეიარაღების გაძლიერების გამო მიტინგმა ერთსულოვანი პროტესტი გამოიტანა მთავრობის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ და აგრეთვე მთავრობის რეპრესიათა პროექტი წინააღმდეგ, რომელსაც იგი აწარმოებს ანტიმილიტარისტულ პროპაგანდის გამო.

7 ათასი მეტრის სიმაღლეზე

პარიზი, 20 ივლისი. სამხედრო მფრინავმა ლებუშემ დიდ სიმაღლეზე აფრენაში მსოფლიო რეკორდი [illegible]: მფრინავმა მიაღწია 7 ათას მეტრის სიმაღლეს.

ინგლისი.

ამხ. კრასინის პროტესტი.

ჰელსინგფორსი 20 ივლისი. ამხ. კრასინმა მიმართა ინგლისის მთავრობას პროტესტით საბჭოთა რუსეთის კომერციულ წარმომადგენელთა დაჭერის წინააღმდეგ კონსტანტინოპოლში. ამხ. კრასინი კატეგორიულად პროტესტს აცხადებს ესეთი [illegible] განცხადების წინააღმდეგ, რომელნიც მან გააკეთა თემთა პალატაში იმის შესახებ, რომ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელნი პოლიტიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ. საბჭოთა დელეგატები სასტიკად იდგნენ თავის სამსახურის მოვალეობათა ნიადაგზე და სხვას არაფერს მუშაობდნენ.

გერმანია

ზემო სილეზიის დანაწილება.

ლიონი. 3 ივლ. (რადიო). პარიზში გარეშე საქმეთა სამინისტროში საფრანგეთის, ბრიტანეთის და იტალიის ექსპერტთა თათბირი გაიმართა ზემო სილეზიის დანაწილების საკითხის შესახებ გეოგრაფიული და ეკონომიური ნიშნებით. გადაწყვეტილია ეს მუშაობა სწრაფად გატარდეს, რათა უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მოხსენება ზემო სილეზიის განაწილების შესახებ.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქ. კ. პ. ც. კ. ამით აუწყებს, რომ ყველა კერძო კორესპონდენციები, რომელნიც აქამდე იგზავნებოდა ადგილობრივად არა მყოფ ამხანაგების სახელზე იხსნება საერთო განყოფილების კანცელარიაში და ყველამ იქ უნდა მიმართოს.

◆ **სტუდენტების ექსკურსია.** აგვისტოს 2 და 3 სამტრედიამდე სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 სტუდენტის ექსკურსია გაემგზავრა.

◆ **მსახიობები პროვინციაში.** აგვისტოს 4 კახეთის მიმართულებით სად. გურჯაანის, საგარეჯოს, წინანდლის და თელავში მიემგზავრება ოპერის მსახიობთა ჯგუფი.

◆ **ალაზნის შტოს დათვალიერება.** გზათა უფროსი ამხ. მირონოვი აგვისტოს 3 გაემგზავრა სპეციალური კომისიით გურჯაანის რაიონში ალაზნის ტყის უბნის დასათვალიერებლად, რომელიც ეხლა შენდება.

◆ **აბანოების მუნიციპალიზაცია.** ქალაქის რევკომის განკარგულებით ქალაქში ყველა 6 ორთქლიან (რუსული) აბანოების მუნიციპალიზაცია გამოცხადდა და გადაეცა კომუნალურ მეურნეობის გამგებლობაში, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ფიქრობს მათი მოქმედება განაახლოს. გოგირდის აბანოები აგრეთვე კომუნალურ გამგებლობის ხელში გადადის, რომელიც ამ ჟამად მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან იღებს.

◆ **მოსავალი საქალაქო ადგილებში.** კომუნალური მეურნეობის მიწის მეურნეობის ქვეგანყოფილება საქალაქო ადგილებში მოსავლის 1 მეათედის კრეფას ათავებს (ხორბალსა და ქერს). შეკრეფილი ნაწილის ძნებით სწარმოებს ზვინის გასაღებით, ხოლო ნაწილი წმინდა ხორბლით, გადმოსატანი საშუალებათა უქონლობის გამო კომუნალურ მეურნეობის მიერ შეკრეფილი მოსავლის ნაწილი ჯერ კიდევ აქამდე მინდვრათ სძევს. გადასატანი საშუალებათა უქონლობის გამო კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ ყველა მებაღეებსა და მებოსტნეებს უჩვენა სასურსათო კომიტეტის მახლობელი პუნქტები, სადაც უნდა მიიტანონ. ქალაქის სასურსათო კუთვნილი სასურსათო გადასახადის გაწყობის საქმე ქალაქის სასარგებლოთ ტექნიკურად კარგად არის დაყენებული. მხოლოდ მუშაობას აბრკოლებს ტრანსპორტის უქონლობა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

მრეწველობის ნაციონალიზაცია

საქართ. ს. ს. რესპუბლიკის სახმეურის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა თანახმად რევკომის დეკრეტისა № 42 ივნისის 15 1921 წ. დაადგინა: 1) გამოცხადდეს ს. ს. ს. რ. საკუთრებად ქვემოდ ჩამოთვლილი სამრეწველოები:

ქ. თბილისში. ა. მ. ხოშტარიას, მიწად-მოქმედების მანქანებისა და იარაღის ქარხანა და ფაბრიკა, 2) ნიკოლოზ ანტონის ძე სიმბოლევისა და ივანე იაკობის ძე კამენევის მექანიკური თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, 3) ძმ. ზუბალ ვესიასი და რენე შარლიეს თბილისის სპილენძის გადამდნობელი ქარხანა, 4) ძმათა გ ხენანსკების მექანიკური ქარხანა, 5) ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა, 6) ძმათა სიილანოვების თამბ. ქარხ., 8) ძმათა ბოზარჯიანცების თამბაქოს ქარხანა, 9) აიდინოვის თამბაქოს ქარხანა—მ. მ. საფაროვის ფაბრიკით, 10) ალექსანდროვისა და ამხ. თამბაქოს ქარხანა „ამხ. კოლ[illegible]", 11) აქციონერ ამხ. „მირის" თამბაქოს ქარხანა, 12) ლეკრიანცისა და ვარტაზარიანცის თამბაქოს ქარხანა ამხ. „ლეგიო", 13) ოსლანიანისა და მიასნიკოვის თამბაქოს ქარხანა „ამხ. სლონი", 14) თაიროვისა, ალიხანოვისა, ტოლუსი და ამხ. აქციონური ამხანაგობის საპნის, ზეთის და სანთლის ქარხნები, 15) ა. მ. ხოშტარიას საპნის ქარხანა, 16) აქციონური ამხ. „ევროპეისის" საპნის ქარხანა, 17) ერობათა კავშირის საპნის ქარხანა, 18) ძმათა კოჩიევის საპნის ქარხანა, 19) ძმათა ბასტწოვების სავაჭრო სახლის ტყავეულობისა და საპნის ქარხანა, 20) ქალაქთა კავშირის ტყავეულობის ქარხანა, 21) ა. ზარგაროვიანცისა და ფ. ვარტაზარიანცის და კომპ. აქც. ამხ. ტყავეულობისა და ბეწვეულობის ქარხანა, 22) ალეკპერი და მასტამზადე მაჰმუდ ბეგოთა ბამბის საქსოვი ქარხანა, 23) დავით ხრიკულისა და მაკარაძის ბამბის საქსოვი ქარხანა, 23) ძმათა ზუბალომიანცის ბამბის ქარხანა, 24) „ზ. მ. [illegible], 25) „ამხ. [illegible] ფაბრიკა, 26) ა. [illegible] ქარხანა „ვეშტელის ფირმით", 27) ამხ. „დ. ზ. სარაჯიშვილის კონიაკის რექტიფიკაციონური და არაყის გამომხდელი ქარხანა, 28) ამხ. „არგოს" კონიაკის რექტიფიკაციონური და არაყის გამომხდელი ქარხანა, 29) დ. კალანდაძის კონიაკისა რექტიფიკაციონური და არაყის გამომხდელი ქარხანა, 30) ა. ზ. პეტროსოვის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, 31) ნას. ტერ-ასატუროვის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა 33) ერობათა კავშირის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, 33) ს. ფ. ხირაძის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, 34) ა. ი. პოპანდოვის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, 35) როსტინაშვილის, თამამშევთა, ენიკოლოპოვისა და ტერ-სტეფანოვის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა 36) ჯაყელისა და კომპ. წინდების ფაბრიკა „ასანი". 37) გრიგ. ფილ. მოსტოვის ავეჯეულობის ქარხანა 38) ძმ. ძველიძეების ყინულის დამზადებელი ქარხანა, 39) ძმ. [illegible] აქციონურ ამხ. ყინულის დამზადებელი ქარხანა, 30) კარლინსკის ეზოსა და ბლოცკის ყინულის დამზადებელი ქარხანა, „მამლაოდი" 41) ნ. გ. სიხარულიძის ყინულის დამზადებელი ქარხანა, 42) ხაზაზოვის გაზის ქარხანა „ობირონი", 43) მ. ა. ქუთათელაძისა და ერობათა კავშირის ავეჯის ქარხანა, 44) სტეპანიანცის ყუთების დამზადებელი ქარხანა, 45) აველოვის ყუთების დამზადებელი ქარხანა, 46) პეკლის ყუთების დამზადებელი ქარხანა, 47) ციონინიანის ყუთების დამზად. ქარხანა. 48) სარქისიანცის ყუთების ქარხანა, 49) კალმანოვის ყუთების ქარხანა „მაიაკი", 50) ბუდიაშვილის ყუთების ქარხანა, 51) „საქართველოს სატრანსპორტო ამხან." მექანიკური ქარხანა.

ბათუმში: 52) ფრანგულ საზოგადოების თამბაქოს ქარხანა „მენიათოლლი", 53) ვ. ა. დანიელოვის თამბაქოს ქარხანა „ვოსტოკი" 54) მ. დ. დანიელოვის თამბაქოს ქარხანა, 55) ვ. გ. კაპლანის მექანიკური და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, 56) ლ. ერ. გიის ქარხანა, 57) მ. ვ. არისტაკოს საფაბრიკო სადურგლო ქარხანა, 58) ხე-ტყის სახერხავი ქარხანა პიტოევისა და მანთაშევისა, 59) „პერმან და კარპოვის" სავაჭრო სახლის სალუდავი ქარხანა, 60) ამხან. „მარსის" მუშის ქერქის ქარხანა, 61) აქციონურ ამხ. „პლასტინის" თუნუქის ქარხანა.

ქ. ქუთაისში: 62) ძმათა ქვთარაძეების თამბაქოს ქარხანა, 63) ქ. ქ. დათეშიძის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, 64) რ. ხათიაშვილის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, 65) აქციონურ საზოგადოების „ლორაქ" ფაბრიკის დაგრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა.

ქუთაისის მაზრაში: ბაღდადის სადგურთან: 66) ქუთაისის სამაზრო ერობის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა.

ქ. გორში. 67) გორის სამაზრო ერობების ხე-ტყის სახერხავი ქარხანა.

ხ. შორის სადგურთან: (მიხაილოვო). 68) გორის სამაზრო ერობის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა.

ქალაქ ახალციხეში: 69) ახალციხის სამაზრო ერობის ხე-ტყის სახერხავი ქარხანა.

ზუგდიდის მაზრაში: 70) მდინარე კოლხა, ხე-ტყის სახერხავი ქარხანა ბეკასი და კომპ., 72) ანაკლიის სადგურთან ხე-ტყის სახერხი ქარხანა „უმჩაძე და კომპ., 72) შამბიონის სადგურთან „პატიას და კომპ" ხე-ტყის სახერხი ქარხანა, 73) ანაკლიის სადგურთან ხე-ტყის სახერხი ქარხანა „ანტანტა და ზუგდიდის ერობისა".

ზუგდიდის მაზრის აბასთუმანში: 74) ამხ. ეგლიო ბრაუს გამოსახდელი და რექტიფიკაციონური ქარხანა (ძმათა პროლეტერების).

სად. სადახლოს ახლო. (ბორჩალოს მაზრა) 75) „ხანის ხე-ტყის მრეწველობის ამხ." ხე-ტყის სახერხა ქარხანა.

II. ამ წარმოებათა ყველა მუშა მოსამსახურე ჩაითვალოს გადარიცხულად ს. ს. ს. რ. სამსახურში და ადგილობრივ სამუშაოდ დატოვ ნ.

III. სახმეურის უმაღლეს საბჭოს სათანადო წარმოებითმა განყოფილებებმა დაუყონებლივ მიიღონ ხსენებული სამრეწველოები და შეუდგნენ მათ გამგებლობას.

IV. სამრეწველო დაწესებულებათა იმ მეპატრონეებს, რომელთა დაწესებულების ნაციონალიზაცია მოხდა ამ დადგენილებით და რომელნიც ქვეშევრდომნი არიან უცხო სახელმწიფოებისა, საბჭოთა რესპუბლიკების გამონაკლისით, ეძლევათ უფლება, თუ სურთ წინათ მათი კუთვნილი სამრეწველოს ექსპლოატაცია გააგრძელონ, მაგრამ უნდა შეიტანონ ამის შესახებ ს. ხ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში სათანადო განცხადება განსაკუთრებულ ხელშეკრულობის დასადებად იმ პირობებზე, რომლებსაც მიაღწევენ ერთი ერთმანეთის შორის შეთანხმებით.

სახმეურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე.

შუამდგომლობა წისქვილების ნაციონალიზაციის შესახებ.

ქუთაისის მაზრის რევკომის შინაგან მმართველობის განყოფილებამ წარუდგინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ოქმი წყალტუბოს თემის ყრილობისა, რომელსაც ხელს აწერს 557 კაცი. ყრილობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, თემის საზღვრებში ყველა არსებულ წისქვილების ნაციონალიზაციის შესახებ. ანალოგიური შუამდგომლობა შემოვიდა აგრეთვე სენაკის სამაზრო რევკომიდან, ორივე ეს შუამდგომლობა შინაგან სახალხო კომისარიატმა გადაუგზავნა განსახილველად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

სპილენძის საბჭოთა ქარხანა.

25 ივლისს განახლდა მუშაობა თბილისის სპილენძის დამმუშავებელი საბჭოთა ქარხანაში. ჯერ ჯერობით სწარმოებს სპილენძის დადნობა, რისთვისაც ქარხანა მომარაგებულია სათბობი და ნედლი მასალის საკმაო რაოდენობით. სპილენძის ჩამოსხმის შემდეგ შეუდგებიან მის გაცემას უმაღლეს მეურნეობის სახალხო საბჭოს შეკვეთით და კერძო პირებზე. უკანასკნელთ მისცემენ სპილენძს ზომებზე გაცვლით. ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეუდგებიან ფოლადის დამზადებას თამბაქოს საჭრელ დანებისათვის. ქარხანაში ჯერ-ჯერობით მუშაობს 30 მუშა, მაგრამ ამ რიცხვს გაადიდებენ 50 კაცამდე.

საწარმოებითი პროფკავშირებში

ქ. ზუგდიდი. ქ ზუგდიდში 23 ამა ივლისს შესდგა მოსამსახურეთა საერთო კრება, კრების მიზანი იყო: მოსამსახურეთათვის კოოპერატივის დაარსება.

კრების თავმჯდომარედ ერთ ხმად იქნა არჩეული ამხ. აკაკი ჯაფარიძე, მდივნად გაბო ჯავიშია. ამხ. ლეონტი ქებურია უმარტავს კრებას მოსამსახურეთა კოოპერატივის მნიშვნელობას, თუ რა დავალებები ექნება ასეთს და როგორ უნდა მოეწყოს იგი. იყო ბევრი სხვა და სხვა შეკითხვები რომლებსაც გაეცა საჭირო პასუხი და ახსნა განმარტებები ამხ. ქებურიას მიერ. ამხ. ქებურია განმარტავს, რომ მოსამსახურეთა კოოპერატივი უნდა იქნეს სწორედ ისეთი კოოპერატივი როგორიც არის სხვა საზოგადო კოოპერატივები და როგორც ასეთს მას აუცილებლად ესაჭიროება საპაიო ფონდი. კრებამ დაადგინა: იქნეს დაწესებული საპაიო ხუთი ათასი მანეთი. ხოლოდ საწევრო კი ერთი ათასი მანეთი ხმის უმრავლესობით დაარქვეს ახალ კოოპერატივს „ახალი გზა", რის შემდეგ კრება გადავიდა გამგეობის, მათი კანდიდატების და სარევიზიო საბჭოს არჩევნებზე. პროფკავშირის სამდივნომ წარმოაყენა შემდეგი კანდიდატები: სოლომონ ბოლქვაძე, ევგენი ქვარაძე და კოწია შენგელია, დამატებითი სია შემოვიდა შემდეგი კანდიდატებისა: სერგო ელიავა, გრიგოლ ჩიჩუა, პელაშა ბოჯაჯუა, გიორგი სოსელია, დათიკო თოლორაია, კოლია ქებულორია და სოკრატი ქეშელავა. ხმის უმრავლესობით გამგეობის წევრებად იქნენ არჩეულნი: სოლომონ ბოლქვაძე, ევგენი ქვარაძე და კოწია შენგელია, გამგეობის წევრებად, მათი კანდიდატებად კი, გიორგი სოსელია და დათიკო თოლორაია, სარევიზიო კომისიაში შევიდნენ სერგო ელიავა, პელაშა ბოჯაჯუა და გრიგოლი ჩიჩუა. არჩეულ პირებს კრებამ სთხოვა ენერგიით შეუდგნენ და უსურვა მათ, მათდამი დაკისრებული საქმის პირნათლად შესრულება, რათა ამით გამართლონ ის ნდობა, რომლითაც აღჭურვა ისინი ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეებმა. აგრეთვე კრებამ მოიგონა მენშევიკების დროს არსებული კოოპერატივი „მოსამსახურის" ბედ-იღბალი და გამოაცხადა ის გარდაცვალებულად.

კრება დაიხურა საღამოს 8 ნახევ საათზე.

ა. შინაური.

თბილისის ტელეფ. ქსელის მუშა-მოსამსახურეთა კრება. 21 ივლისს 1921 წ. შესდგა საერთო კრება თბილისის ცენტრალური ტელეფონის ქსელის მუშების და მექანიკოსების სახკომფოსტელის მოადგილის ამხ. ყამარაულის თავმჯდომარეობით და ამხ. ოსეპაშვილის მდივნობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: საბოტაჟნიკები ტელეფონის ქსელზე და მათთან ბრძოლა. ამ საკითხზე ილაპარაკა ამხ. ყამარაულმა, რომელმაც განუმარტა ამხანაგებს დიდი მნიშვნელობა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობაში მშრომელ პროლეტარულ კლასისათვის. მან ზოგიერთების გვარებიც დაასახელა, რომელნიც შეგნებულად ან შეუგნებლად საბოტაჟს ეწევიან და მიუთითა იმ მოსაზრებზე, რომელნიც [illegible] შემდეგში [illegible] ასეთ პირების წინააღმდეგ. შემდეგ მან იქონია მსჯელობა შრომის დისციპლინაზე და განმარტა მისი მიზნები და მნიშვნელობა სოციალისტურ სახელმწიფოში. ამხანაგ ყამარაულის შემდეგ მოხსენება გააკეთა მე 4 რაიკომის წარმომადგენელმა, რომელმაც თავის მოხსენებაში ნათლად დახატა მიზეზები წარმოების დაცემისა და ის საშუალებანი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი აღდგენა. ბოლოს მან მოუწოდა ამხანაგებს შეეგნოთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მათ მუშაობას და მოეღოთ ბოლო იმ არა სასურველ მოვლენას, რომელიც სუფევს მათ შორის. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ყამარაულის და სხვების, დავადგინეთ: ვგრძნობთ, რა ჩვენი წარმოების დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით მუშათა კლასის სასარგებლოთ, ფიცს ვდებთ, რომ შემდეგში საბოტაჟს არ ექნება ადგილი და ამის შემდეგ ყველა საბოტაჟნიკებს ჩავთვლით მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების მოღალატეებათ.

გ.

პროვინციაში.

მე-4 შაბათობა ქ ახალ-სენაკში

ჩვენი მოწინააღმდეგე გაკვირვებულნი იყვნენ პირველი ჩვენი შაბათობის მოწყობით ქ. სენაკში, მაგრამ მათ ეგონათ რომ ეს იყო აგიტაციის მასალა, რათა მასაში მოეხდინათ კომუნისტებს ერთგვარი ეფექტი, მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ, როცა დაინახეს შაბათობა სისტემატიურად ეწყობა არამც თუ ქ. სენაკში, სადაც წვრილბურჟუაზიული ფსიხოლოგია სჭარბობს, არამედ სოფლებშიც, სადაც მშრომელი გლეხი დიდი ხალისით ითვისებს ამ დიდ ლოზუნგს, გადმოსროლილს რუსეთის პროლეტარიატის მიერ, რომელიც სქმნის ახალ ცხოვრებას, სადაც არ ექნება ადგილი მექრთამეობას. და დღეს სამეგრელოში ეს დიდი ლოზუნგი—შაბათობა, ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა და მიყრუებულ კუთხეშიც განთავისუფლებული მშრომელი გლეხობა, მიუხედავად სიმშილ-სიტიტვლისა, გაორკეცებული ენერგიით მიდის შაბათობის დღეს და დაუღალავად მუშაობს საერთო საქმისთვის, უკანასკნელი სამუშაო ძალას, რომ უზრუნველი ჰყოს ქვრივ-ობოლი, ავათმყოფი და უდაბნოს საზოგადოების ნაწილი, რომელმაც ვერ მოასწრო დამუშავება თავის სარჩო ყანისა, თითქმის ყველა სოფლებში წარმოებს შაბათობა.

ორ ივლისს სოფ. კოტიანეთიდან საგანგებოდ გვაცნობეს, რომ გვენახა შაბათობის დღე, 80 კაცი ორ-სამ ჯგუფად დაყოფილი წითელი დროშით მუშაობდნენ ყანაში, თან დასძახოდნენ ყანურ სიმღერას და ერთსულოვნად თოხნიდნენ გაუმარგლავ ყანებს.

სენაკის სამაზრო რევკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მამულია მიესალმა შრომის შვილებს და მოუწოდა შრომის ფრონტისაკენ, რომელიც მისცემს სრულ გამარჯვებას მშრომელ კლასს, რომლის მეთაურია დღეს კომუნისტური პარტია და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. გაისმა ურას ძახილი. და ასეთი ხალისით ეკიდება ჩვენში შაბათობას მშრომელი გლეხობა.

23 ივლისს, დილით, შაბათს, ერთ საათზე მოეწყო შაბათობა შეიარაღებული თოხებით ქ. სენაკში. 40 პარტიული ამხანაგი გაემართა ყოფილი მიქელაიას ეზოში, გასამარგლავი იყო სიმინდი. წინ მიუძღოდა დროშა, სამი საათის მუშაობის შემდეგ ოთხი ქცევი მიწა გათოხნილი იქნა. ამხანაგები მწყობრად ინტერნაციონალის სიმღერით წამოვიდნენ პარტკომისაკენ, სადაც დაიშალნენ. მტრებიც კი შეკრთნენ, დარწმუნდნენ რა კომუნისტური პარტიის სიძლიერეში. ისინი ხედავენ საბჭოთა ძალაუფლების გამტკიცებას და გული ბოღმით ევსებათ, არ გადის მათი პროვოკაცია, მათი საბოტაჟი; უნდათ ახალი რამე ავანტიურის გამოგონება, რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ პროლეტარიატს ყურს ესმის მათი ფარული ჩურჩული და ფრთხილად ადევნებს მათ ყურს.

ვ. შალ ძე.

მუხრანის რაიონი სოფელი შუახევი.

(დუშეთის მაზრა)

ჩვენ, შუახევის გლეხები გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ეს მცირედი წერილი:

ჩვენ, შუახევში მცხოვრებ გლეხებს გადატრიალებისთანავე დაგვებადა ფიქრი კომუნალურად ჩვენი ადგილების დამუშავებისა, რაზედაც დიდხანს არ გვიფიქრია და ერთდროულად ერთად 30 კომლი. ერთ კომუნაში მუშახელი 150 კაცს აღემატება, რომლებიც ერთად ვმუშაობთ, შრომა განაწილებულია: ზოგნი ვმკით, ზოგნი ვთიბნით და ყველანი ერთგულად ვასრულებთ ჩვენს საქმეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არც ჩვენი მთავრობა დაგვტოვებს უყურადღებოთ და ჩვენც ყოველ წუთში მზადა ვართ ყოველი გაჭირვება, ყოველი დაბრკოლება გადავლახოთ, ჩვენ მადლობით ვუყურებთ მათ, რომლებმაც ინდომეს ჩვენი სიბნელიდან გამოყვანა და კეთილი გზის ჩვენება. ჩვენ ვდგევართ მუდამ ჩვენ პოსტზე და არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ საშუალებას ჩვენ მტრებს, ჩვენი თავისუფლება ხელიდან გამოგვგლიჯონ, მე, ადამ სალბიშვილი და ნიკო ძებისაშვილი 1905 წ. ვემსახურებით იმ იდეას, რომელსაც ჩვენ ძლევამოსილ მოვესწარით და ეხლა კი ერთად ჩვენ ამხანაგებთან ზამთარ ზაფხულ ვმუშაობთ ნაყოფიერად და კმაყოფილად. გვყავს ერთი კაცი, პეტრე ხოსროშვილი, რომელიც ამორჩეულია, როგორც ზედამხედველი, ის ანაწილებს საქმეებს ჩვენს შორის და ყოველივე ჩვენთაგანს აძლევს თავის საქმეს და ეხლა კი ჩვენი ჯგუფი მუშაობს ისე, როგორც ჩვენი უფროსი ამხანაგები მიგვითითებენ. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, რათა არა სასურველი პირი არ ჩაგვეპაროს ჩვენ ამხანაგობაში და ვცდილობთ, ჩვენი საქმე რაც შეიძლება კარგად წავიყვანოთ. ჩვენ გვყავს ამორჩეული ათის თავები, რომლებიც სხვაზე უმალ გარბიან სამუშაოზე და უჩვენებენ სხვებს მაგალითს. მაგრამ თუ ვინმე ზარმაცი გამოდგება ჩვენში, ამისათვის ჩვენ გვაქვს ცალკე ბნელი ოთახი, რომელშიაც ვატიმრებთ დამნაშავეებს, ვინაიდან ჩვენი დადგენილება ასეთი იყო საერთო კრებაზე და რამდენსაც უფრო მეტს იზარმაცებს ესა თუ ის პირი, იმდენად უფრო მეტს სასჯელს მიიღებს. ასე ვცხოვრობთ ჩვენ პატარა კომუნაში ხშირად კრება გვაქვს, რომელზედაც ყველა დიდ ყურადღებით არჩევს ამა თუ იმ საქმეს. კრების გაშვებისას კი ჩვენ ზედამხედველს ყველაზე უმალ გავაგდებთ, რათა საქმეები შეგვატყობინოს, სად რა არის გასაკეთებელი.

მივესალმებით საბჭოთა მთავრობას, რომელიც უჩვენებს გზას მშრომელთა მასებს და აყენებს მას ნამდვილს სწორ გზაზე.

კომუნის თანამშრომელი და მოღვაწე ადამ ხალხიშვილი.

ქ. ზუგდიდი.

მესამე ინტერნაციონალის აღსანიშნავად აქ იმართება მიტინგები, სადაც ხასიათდება თანამედროვე მომენტის რევოლიუციონური შემოქმედება, კომუნიზმის იდეა და კომუნისტურ ინტერნაციონალის მუშაობის პერსპექტივები. იმართება აგრეთვე ამ მიზნით საღამოები, სადაც გამოდიან ლექტორები, პოლიტიკურ მოხსენებებით, იდგმება პიესები თანამედროვე რევოლიუციონურ რუსეთის ცხოვრებიდან.

15 ივლისს აქ მოხსენება წაიკითხა ქუთაისის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ტალახაძემ „თანამედროვე მომენტზე და მესამე ინტერნაციონალზე" რომელმაც საკმაოდ გააშუქა ევროპის იმპერიალიზმის სამუდამო სიკვდილის მოახლოების ნიშნები და რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციის უახლოესი მიზნები კომუნიზმის იდეის განხორციელების სფეროში. მოხსენებას საკმაო საზოგადოება დაესწრო.

შორელი.

ც ნ ო ბ ე ბ ი

ქალ. თბილისის ბაზარზე არსებულ ფასების პირველ მოთხოვნილების სანოვაგეზე

30 ივლისის 1921 წ.

სანოვაგის დასახელება	ფ ა ს ე ბ ი:
ფქვილი 1 ფუთი	180 00 200000
ხორბალი	160000 180000
სიმინდი ფქვილი	100000 120000
სიმინდი	90000 100000
გამომცხვარი პური	
შავი 1 ხარისხისა	4000
„ მე 2 „ „	3500
„ „ 3 „ „	1800
ჭადი	1800
თონეში გამომცხვარი	
შავი	4000
ბრინჯი	6000 8000
მარილი	
ქვისა	100.000-120.000
ზღვისა	40 000 50 000
დაფქვილი 1 ფუთი	
1-ხარისხისა	80 000-90 000
მე 2 „ „	50 000
ხორცი 1 გირვანქა	
ძროხისა	7000 10.000
ცხვრისა	10 000 12000
ფრინველი 1 ცალი	
ქათამი	25000 40000
წიწილა	6000-25000
ბატი	„ „
ინდოური	„ „
თევზეულობა 1 გირვანქა	
ცოცხალი	6000
ფორელი	„
ლოქო	6000-7000
ასეტრინა	8000 10.000
სევრიუგა	8000 10 000
დოში	10 000 12 000
[illegible]	„
ხიზილალა	20.000 24.000
რძე 1 კრუშკა	
მთლიანი	2000
მოხდილი	1800
ძროხის ერბო 1 გირვანქა	
დამდნარი	24 000 26 000
დაუდნობი	18 000-22.000
კარაქი	26.000 28 000
ზეთი 1 გირვანქა	
მზესუმზირის	15.000 16 000
ნიგვზის	14.000
ყველი 1 გირვანქა	
თუშის	8000 14000
თუშის მოხდილი	6000 7000
ოსური	10000 11000
შვეიცარული	15000
კვერცხი 10 ცალი	11.000
მწვანილეულობა	
კომბოსტო 1 გირვანქა	4000
პამიდორი	2000
კარტოფილი	1600
ჭარხალი	4000
ხახვი გამხმარი	4000
[illegible]	3500-4000
ნიორი 1 გირვანქა	6000
მუხუდო	4000 ფუთი 140.000
ლობიო	3500 4000
კიტრი 2 ცალი	1000 1500
ბადრიჯანი 1 ცალი	1000
შაქარი 1 გირვანქა	
დამტვრეული	23.000
თავისა	„ „
შაქრის ფხვნილი	22 000
ლერწმის ფხვნილი	20.000
მონპასი	23 000-24.000
სახარინი	12.000-12 500
ჩ ა ი	
ძველი საშუალო	50 000
დაბალი	40 000
ბრუსნიჩნი	7000-10000
ჩაქვის	20 000 22.000
პ ი ლ პ ი ლ ი	
დაფქვილი	25.000
ნახშირი	15.000 40.000
ქვისა	„ „
შავი ნავთი	„ „
ნავთი 1 გირვანქა	1000 1500
ფ უ რ ა ჟ ი	
ქერი	75.000 90.000
თივა	120 000
ბზე	14000
საპონი	15.000 25.000
შეშა 1 ურემი	200 000 500.000

სტატისტიკურ ბიუროს გამგე ა. რუხაძე.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

უკვე ხუთი თვე შესრულდა მას შემდეგ რაც ბოლშევიკურმა პარტიამ ხელში ჩაიგდო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მართვა გამგეობა, და მეც თვალყურს ვადევნებდი მათ მუშაობას და დავრწმუნდი რა, რომ ისინი ყოფილან ნამდვილი ინტერესების დამცველი მუშათა და გლეხთა 2) ვინაიდან მათი პროგრამის გათვალწინების შემდეგ მე მასში ვერ ვპოვე ვერავითარი ნაკლი, ამიტომ დღიდან ჩემი წერილის გამოქვეყნებისა მე ვეკუთვნები ზემოხსენებულ პარტიას და ვირიცხები კომკავშირის წევრათ.

სად. ქვათურის საგიტ. პუნქტის თანამშრომელი: პეტრე წერეთელი.

26 ივლისი 1921 წლისა.

ჩვენი ფოსტა

ბათუმელ ხ. ბზგ—ვას: არ დაიბეჭდება, გამოგზავნეთ ცალ გვერდზე დაწერილი.

პროტესტანტს: არ დაიბეჭდება, ვინაიდან უფრო მეტად პირადული ხასიათისაა.

ი. ასპიროზშვილს: მოგვაწოდეთ კორესპონდენციები კავშირების ცხოვრებიდან.

აკაკი ბერეკაშვილს: მიმართეთ ასეთივე განცხადებით განათლების სახალხო კომისარიატს.

დავ. ქებაძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ყოველგვარი კონცესიების გაცემა და მით უფრო ბორჯომის წყლის სათანადო მთავრობის საქმეა და იგი ვერც რუსის და ვერც სამედიატორო სასამართლოს საგნათ ვერ გახდება. რაც შეეხება მენშევიკების ბატონობის ხანაში თქვენს „მოღვაწეობის" დაფასებას, ამას ჩვენ ვერ ვიკისრებთ და ხოლო თუ საბჭოთა რესპუბლიკის სასარგებლოთ თქვენს გამოცდილებას გამოიყენებთ, ეს, რა თქმა უნდა, თავის დროზე დაფასებულიც იქნება.

ახალი წიგნები გამოვიდა სახ. განათლების კომისარიატის [illegible] განათლების მთავარი მმართველობის ახალი გამოცემა:

1. პ. ივანოვი „რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ რუსეთში?" გვ. 47.
2. გ. ხაჭაპურიძის მიერ შედგენილი „კრებული პოლიტიკური განათლების მუშაობის ორგანიზაციისათვის". (დეკრეტები, დებულებანი, ინსტრუქციები) გვ. 160.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა ამ დღეებში უშვებს საშა წულუკიძის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან".

ამ დღეებშივე გამოვა: რუს. კომუნისტური პარტიის მე X ყრილობა (მასალები და რეზოლიუციები).

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 - 58.

— მე-4 ე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე 5-ე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სხვა და სხვა

დავკარგე პარტიული ბილეთი, მოცემული ქუთაისის პარტკომის მიერ ალექსანდრე გარსევანიძე ჩემ ნიძის სახელზე. მნახველს ვთხოვ გამოგზავნოს ქალ. თბილისი გუდოვიჩის № 12

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

პარტიის გასამაგრებელი ორკვირეულის გამტარებელი ცენტრალური საორგანიზაციო კომისია

აწყობს 7 აგვისტოს საერთო პარტიულ კვირეულს. მუშაობა დაიწყება არსენალში, ავჭალის წყალსადენი, ცაიის მთავარი სახელოსნო და რკინის გზის დეპო მთავარი სახელოსნოები, მთავარი საწყობი მასალებისა და 6 უბნის სამსახურის გზები. კვირეულში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ორგანიზაცია კავშირის განყოფილება და ქართულ წითელი ჯარი. მონაწილეთა რიცხვი აღნიშნულია 3000 კაცამდე.

კვირეულის გატარების წესი 8 საათზე ყველა რაიონები თავს იყრიან თავიანთ რაიკომებთან, სამხედრო ნაწილი თავიანთ ხელმძღვანელთა მითითებით. 9 საათზე ყველანი უნდა იყვნენ ცენტრალურ თავმოსაყრელ ადგილს.

1 და 2 რაიონი ნაძალადევის თეატრთან 3, 4, 5—არსენალთან სამხედრო ნაწილი მივა თავიანთ შტაბის მახლობელ ცენტრალურ თავმოსაყრელ პუნქტში. სწორ 9 საათზე გაიხსნება მიტინგი თემებით: შაბათობის მნიშვნელობა შრომის ფრონტზე ნაძალადევის თეატრთან გამოვა ამხ. მდივანი, რომელიც სიტყვას წარმოსთქვამს რუსულ ენაზე ამხ. ელიავა ქართულად. არსენალთან გამოვა ამხ. ლისოვსკი სიტყვით რუსულ ენაზე. ამხ. ორახელაშვილი ქართულ ენაზე.

მიტინგის შემდეგ დაუყონებლივ წავლენ მუსიკით და სიმღერით სამუშაოთ.

კვირეული დასრულდება დღისით 2 საათზე.

საჭიროა მემანქანენი

საქართველოს დეპეშათა სააგენტოსათვის. მსურველებმა უნდა მოაკითხონ გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში კლუზესშტეინის ქუჩა № 4 მესამე სართული.

სრულიათ საქართველოს ყრილობისთვის ახალგ. კომ. კავშირის რომელიც გაიხსნება 20 აგვისტოს ამ. წ.

საჭიროა სასწრაფოთ ორი სტენოგრაფი

რუსულ და ქართულ ენისათვის. ცნობებისთვის მიმართოთ 8 აგვისტომდე ც—კ. საქმეთა მმართველს (რუსთაველის პროს. № 22).

კ ო ნ კ უ რ ს ი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საფოსტო მარკების ნიმუშების დამზადებაზე

საფოსტო მარკა უნდა იყოს 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5.000 მანეთის ღირებულებისა.

კონკურსის პირობები: 1) უნდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო მარკების შვიდი სხვა და სხვა ნიმუში შემდეგი ზომისა: პირველი ხუთის ნიმუშები იმავე ზომის იქნება რა ზომისაც ძველი საფოსტო მარკები იყო. 1000 მანეთიანი მარკა უფრო დიდი იქნება ზომით ვიდრე პირველი ხუთი, ხოლო 5.000 მანეთიანი უფრო დიდი ვიდრე 1000 მანეთიანი მარკა. სხვა და სხვა ღირებულების მარკა სხვა და სხვა ფერის უნდა იყოს. 2) პირველ 5 მარკების ნიმუშებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ღერბი და უნდა ჰქონდეს ქართულ და ფრანგულ ენებზე შემდეგი წარწერა: საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, 3) 1000 და 5000 მანეთიან მარკებზე გამოსახული უნდა იყოს რომელიმე დამახასიათებელი სიუჟეტი საქართველოს რევოლიუციონურ პერიოდიდან, ხოლო წარწერა ისეთივე იქნება, როგორც პირველ ხუთს. საუკეთესო პროექტი დაჯილდოვებულ იქნება 500.000 მანეთით, საშუალო 300.000 მან. და 200.000 მანეთით 4) სრულებით დამთავრებული ნიმუში, მხატვრის ფსევდონიმის აღნიშვნით, ცალკე კონვერტით ხოლო მე 2 კონვერტში ფსევდონიმის მაგიერ გვარის აღნიშვნით, უნდა წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, კომისარის სახელზე არა უგვიანეს 15 აგვისტოსი ნაშუადღევის 1 საათამდე.

კომისარის მოადგილე ბ. ზიზინეიშვილი.

საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საყურადღებოთ

ვინაიდან ქალაქის სტატისტიკურ ბიუროში ძალიან ბევრი მოთხოვნილება მოდის ბაზრის ფასების ცნობების მიცემის შესახებ, სტატბიურო ამით აცხადებს: 1. იმ მიზნით, რომ დაწესებულებას გაუადვილდეთ ცნობების მიღება ბაზარზე არსებულ ფასების შესახებ, სტატბიურო პრესის საშუალებით კვირაში სამჯერ გამოაქვეყნებს ამ ფასებს. დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ გამოქვეყნებული ცნობებით. სტატბიურო კი ამ მცირე ფასების შესახებ არავის არავითარ ცნობებს არ მისცემს კერძოთ. 2. დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ სტატბიუროში ცნობები ბაზარზე არსებული ფასების შესახებ მხოლოდ წარსული თვეებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ მიეცემა მათ,

ქალ. სტატისტიკურ ბიუროს გამგე ა. რუხაძე.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.

ტირაჟი 10,000 ც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა რუსთაველის პ., № 1